
პირველადი ისტორიული არქიტექტურული კვლევა
ტერენტი გრანელის ქ. №10/12



თბილისი
2012

ტერენტი გრანელის სახელობის ისტორიულად დიდუბე-ჩუღურეთს განეკუთნება და ჩიტაიას (ყოფ. საბჭოს, ყოფ. ავჭალის) ქუჩის მიმდებარეა. ეს ტერიტორია XIX ს-ის მიწურულს მიხეილის პროსპექტის სიახლოვეს არსებული მიწების ათვისების მიზნით გაშენდა ავჭალის მოედნის და რკინიგზის სადგურის მიმართულებით.


მე-XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს უბანი არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა

ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.



ჩიტაიას ქუჩასა და მიმდებარე ქუჩების ისტორიული განაშენიანება ისტორიული ღირებულებით განსაკუთრებულად არ გამოირჩევა, რადგანაც იმ დროს ეს ტერიტორია ქალაქის განაპირა უბნებს წარმოადგენდა და აქ იშვიათად შეხვდებით არქიტექტურულ ძეგლებს. თუმცა, უბანი დღესაც ინარჩუნებს ისტორიული თბილისისთვის დამახასიათებელ მასშტაბს, ორ-სამ სართულიან ნაგებობებს, რომელთა ფასადები უმეტესად კლასიცისტურ სტილშია გადაწყვეტილი.

ტერენტი გრანელის ქუჩა მიმდებარე განაშენიანებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის გამოირჩევა ლანშაფტური მონაკვეთით (სკვერი), რომელშიაც მ. გორკის ძეგლი დგას, ხოლო მის ერთ ნაწილში განთავსებულია გერმანული ლუთერანული ეკლესია. სკვერის ორივე მხარეს ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები ფიქსირდება.

ტერენტი გრანელის ქუჩის №10/12 მდებარე ტერიტორტია ამჯერად ცარიელ ადგილს წარმოადგენს. ადრე აქ არსებული ნაგებობის ამსახველი ფოტომასალით ირკვევა, რომ ამ ადგილას სამსართულიანი აგურის მოცულობითი სახაზინო შენობა იდგა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ავარიულობის გამო დაინგრა.





ტერენტი გრანელის №10/12 ისტორიულ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც ძველი გეგმების მიხედვით XX ს-ის დასაწყისში სამხედრო ბატალიონის ყაზარმას ეკავა. შემდგომ, ამ შენობაში ფუნქციონირებდა საკანცელარიო ფაბრიკა. უკანასკნელ წლებში კერძო ფირმა. ნაგებობა წარმოადგენდა ორსართულიან ჰორიზონტალურად განვითარებულ მოცულობას მაღალი სარდაფის სართულით. შენობის სიმაღლე რელიეფის მომატებასთან ერთად დაბლდებოდა. თავდაპირველად ის სამი კორპუსისგან შედგებოდა, მაგრამ დემონტაჟის დროისთვის მხოლოდ ორნაწილიანი იყო.





2010 წლის დასაწყისში ნაგებობა მერიასთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე დემონტაჟს დაექვემდებარა.

რეკომენდაციები

ამჯერად, განზრახულია არსებული ცარიელი მიწის ნაკვეთის ათვისება მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსით. უბანში მოქმედი ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტი იძლევა საშუალებას, საკმარისად მოცულობითი პროექტის განხორციელებისთვის. თუმცა, ისტორიულ განაშენიანებასთან და მკაცრი დაცვის ზონასთან სიახლოვე გარკვეული შეზღუდვების წინაშე აყენებს პროექტს. ამდენად, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები.





- ახალი ნაგებობის მასშტაბი შესაძლებელია იყოს საკმარისად დიდი, მაგრამ ვფიქრობ უნდა გაიზარდოს საფეხურებრივად ისტორიული შენობების მიმდებარე ნაწილიდან (უფრო დაბალი), ვიდრე ქუჩის აღმართის განაპირა ნაწილისკენ.
- ფასადის გაფორმების ხასიათი სასურველია მიესადაგოს ისტორიული განაშენიანების ღირებულებას. ამისთვის ვფიქრობ, მოპირკეთებაში გამოსაყენებელია აგურის მასალა, ან ნალესი ფაქტურები და ბუნებრფივი ქვა. ვრცელი შემინული ზედაპირების გამოყენება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად.
- ფასადის მხატვრულ-არქიტექტურული გაფორმების ელემენტები შესაძლებელია ნასესხები იქნას კლასიცისტური არქიტექტურის რეპერტუარიდან, თუმცა, პირდაპირი რეპლიკების გაკეთება არ არის აუცილებელი.

- ფასადის სიბრტყე ისე უნდა დანაწევრდეს ღიობებითა და არქიტექტურული ელემენტებით, რომ მასშტაბური კედელის მოცულობა მაქსიმალურად შემსუბუქდეს და არ მიიღოს მონოტონური, ერთგვაროვანი ხასიათი.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი